პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 92 (10486)
ხუთშაბათი
19
აპრილი
1956 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ო წ ო დ ე ბ ა ნ ი

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

### 1956 წლის 1 მაისისათვის

1. გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!

უფრო მაღლა ავწიოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

2. ძმური სალამი ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის!

3. ყველა ქვეყნის მშრომელებო! ომი შეიძლება ავიცილოთ და უნდა ავიცილოთ თავიდან! უფრო მაღლა ავწიოთ ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის ბრძოლის დროშა!

4. ყველა ქვეყნის მშრომელებო! იბრძოლეთ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისათვის! მოითხოვეთ ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვა! ატომის ენერგია — კაცობრიობის მშვიდობიანი პროგრესის სამსახურში!

5. დაე მტკიცდებოდეს თანამშრომლობა კომუნისტებს, სოციალისტებსა და ყველა პროგრესულ ძალებს შორის ხალხთა მშვიდობის, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

6. საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებო! დაუცხრომლად განამტკიცეთ სოციალიზმის ქვეყნების დიადი თანამეგობრობა, განავითარეთ და განამტკიცეთ ჩვენი ქვეყნების ხალხებს შორის ძმური მეგობრობა!

7. ძმური სალამი დიდ ჩინელ ხალხს, რომელიც წარმატებით ახორციელებს სოციალისტურ გარდაქმნებს თავის ქვეყანაში!

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას! დაე აყვავდეს საბჭოთა და ჩინელი ხალხების ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა — მთელი მსოფლიოს მშვიდობის მძლავრი ფაქტორი!

8. ძმური სალამი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოების: პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის მასების კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, მშვიდობისათვის და სოციალიზმის აშენებისათვის!

9. ძმური სალამი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გმირ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის, მშვიდობისათვის, თავიანთი ქვეყნების ეროვნული გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე!

10. გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას — მთელი გერმანიის მშვიდობისმოყვარე ძალების ბურჯს, რომლებიც იბრძვიან მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, ორივე გერმანული სახელმწიფოს დაახლოებისათვის, თავიანთი სამშობლოს მშვიდობიან დემოკრატიულ საფუძველზე გაერთიანებისათვის!

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს გერმანელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა ევროპის მშვიდობის საკეთილდღეოდ!

11. ძმური სალამი იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ხალხებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხებს შორის ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

12. ძმური სალამი დიდ ინდოელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი სამშობლოს პროგრესისათვის, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის! დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

13. გაუმარჯოს ინგლისს, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას მათს ბრძოლაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ევროპის კოლექტიური უშიშროებისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის!

14. დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და იტალიის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

15. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის მეგობრობასა და თანამშრომლობას, რაც დამყარებულია ხალხთა თანასწორუფლებიანობაზე, ურთიერთნდობასა და პატივისცემაზე!

16. დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და შვეიცის, ნორვეგიის, დანიის, ისლანდიის მეგობრული ურთიერთობა!

17. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხებისა და ნეიტრალური, დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის ხალხის მეგობრობასა და თანამშრომლობას ევროპის მშვიდობის განმტკიცებისათვის!

18. სალამი იაპონელ ხალხს, რომელიც იბრძვის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, თავისი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიული განვითარებისათვის!

19. მხურვალე სალამი აღმოსავლეთის ხალხებს, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური ჩაგვრის ბორკილი, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის და თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის!

20. სალამი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

21. გაუმარჯოს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას — საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალურ ხაზს, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, ყველა ქვეყანასთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას!

22. საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებო! ბეჯითად აიმაღლეთ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, სრულყავით თქვენი საბრძოლო ოსტატობა, დაეუფლეთ თანამედროვე საბრძოლო ტექნიკასა და შეიარაღებას!

გაუმარჯოს გამარჯვებათა დიდებით მოსილ მამაც საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც დგანან ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე!

23. გაუმარჯოს და განმტკიცდეს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი მუშათა კლასის ხელმძღვანელობით — საბჭოთა წყობილების ურყევი საფუძველი!

24. გაუმარჯოს და აყვავდეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა — ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყარო!

25. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები და შემოქმედებითი ენერგია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი საქმისათვის!

26. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! პარტიის XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ კომუნიზმის შემდგომი მშენებლობის, სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საბრძოლო პროგრამაა!

გავაჩაღოთ საყოველთაო-სახალხო ბრძოლა მეექვსე ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის!

27. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მტკიცედ განახორციელეთ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, რომლის მიზანია უპირატესად განვითარდეს მძიმე მრეწველობა — მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესების, ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და უშიშროების განმტკიცების საფუძველი!

28. სოციალისტური მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის! დანერგეთ წარმოებაში სამამულო და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები. საწარმოთა მოწინავე გამოცდილება!

29. მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, ოსტატებო! გააუმჯობესეთ შრომისა და წარმოების ორგანიზაცია, ყოველი ღონისძიებით განამტკიცეთ შრომის დისციპლინა, უზრუნველყავით საწარმოთა რიტმული მუშაობა! იბრძოლეთ მომჭირნეობის რეჟიმისათვის, გააუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი და შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

გავაჩაღოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება 1956 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის!

30. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, დანერგეთ ქვანახშირის ამოღებისა და გამდიდრების მოწინავე მეთოდები, გააუმჯობესეთ ტექნიკის გამოყენება! უფრო სწრაფად აშენეთ ახალი შახტები და ჭრილები!

მეტი ქვანახშირი სახალხო მეურნეობას!

31. ნავთობის მრეწველობის მუშაკებო! უზრუნველყავით ნავთობის ამოღებისა და გადამუშავების ზრდის სწრაფი ტემპები! აღმოაჩინეთ და უფრო სწრაფად აითვისეთ ნავთობისა და გაზის ახალი საბადოები! გაადიდეთ ჭაბურღილების ბურღვის სიჩქარე!

მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მაღალი ხარისხის ნავთობი, გაზი და ნავთობპროდუქტები!

32. საბჭოთა ენერგეტიკოსებო! უფრო ფართოდ დანერგეთ მოწინავე ტექნიკა! უფრო სწრაფად აამოქმედეთ ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეები, გააუმჯობესეთ ელექტროსადგურების მშენებლობის ხარისხი და შეამცირეთ ღირებულება! შეამცირეთ სათბობის ხარჯვა!

33. საბჭოთა მეტალურგებო! სრულყავით წარმოების ტექნიკა და ტექნოლოგია, ყოველი ღონისძიებით გაადიდეთ ხარისხოვანი ლითონის გამოშვება!

მეტი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი და ფერადი ლითონები სახალხო მეურნეობას!

34. მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის საწარმოთა მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად შექმენით და აითვისეთ ახალ სახეობათა თანამედროვე მოწყობილობა, მექანიზმები, ჩარხები, წნეხები, ხელსაწყოები, ავტომატიკის საშუალებანი, ტრაქტორები, კომბაინები და ავტომობილები! უზრუნველყავით მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაცია!

აღჭურვეთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგი მოწინავე ტექნიკით!

35. ელექტროტექნიკური და რადიოტექნიკური მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ უახლეს სახეობათა მოწყობილობის, აპარატურის, ხელსაწყოებისა და მაღალი ხარისხის სხვა ნაკეთობათა წარმოება!

36. ქიმიური მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ მინერალური სასუქების, სინთეზური ნედლეულის, მასალებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოება და გააფართოეთ მათი ასორტიმენტი!

37. მშენებელო მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო ფართოდ დანერგეთ ინდუსტრიული მეთოდები, გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება, იბრძოლეთ მშენებლობის მაღალი ხარისხისათვის და მისი ღირებულების შემცირებისათვის!

დაარჩარეთ ახალი სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო და კულტურული დაწესებულებების მშენებლობის ტემპები!

38. საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ ცემენტის, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების, ახალი საშენი მასალების წარმოება ჩვენი სამშობლოს მშენებლობებისათვის!

39. ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ ხე-ტყის დამზადება და გამოზიდვა, ქაღალდის გამომუშავება! მთლიანად გამოიყენეთ მანქანები და მექანიზმები, გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება!

მივცეთ ჩვენს ქვეყანას მაღალი ხარისხის მეტი ხე-ტყის მასალა, ქაღალდი და ავეჯი!

40. მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ საქონლის წარმოება და გააფართოეთ მისი ასორტიმენტი, უფრო ეკონომიურად გამოიყენეთ ნედლეული!

მივცეთ მეექვსე ხუთწლედში მოსახლეობას მეტი კარგი ხარისხისა და ლამაზი ქსოვილები, კარგი ტანსაცმელი, გამძლე და ლამაზი ფეხსაცმელი და სხვა საქონელი!

41. სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გააფართოეთ კვების პროდუქტების წარმოება და გააუმჯობესეთ მათი ხარისხი!

მეტი შაქარი, ცხიმეული, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტები მოსახლეობისათვის!

42. თევზის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ თევზის ჭერა და თევზის პროდუქციის გამოშვება! უკეთ გამოიყენეთ სარეწაო ფლოტი და თევზსაჭერი იარაღები! გააუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი და შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

43. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! იბრძოლეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა რაც შეიძლება მალე განხორციელებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის!

მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მარცვლეული, ხორცი, რძე, მატყლი და სხვა პროდუქტები მოსახლეობისათვის და ნედლეული მრეწველობისათვის!

44. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! იბრძოლეთ მარცვლეულის მეურნეობის — მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის შემდგომი აღმავლობისათვის!

ავიყვანოთ მარცვლეულის ყოველწლიური საერთო მოსავალი 11 მილიარდ ფუთამდე!

45. მხურვალე სალამი სოფლის მეურნეობის მუშაკებს, რომლებიც ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაზე მუშაობენ!

შევქმნათ მარცვლეულის წარმოების მძლავრი ბაზა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში!

46. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! ყოველი ღონისძიებით გააფართოეთ სიმინდის — მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის უმნიშვნელოვანესი წყაროს — ნათესები და გაადიდეთ მისი მოსავლიანობა!

47. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! წარმატებით დავამთავროთ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები, უზრუნველყოთ ნათესების კარგი მოვლა და უხვი მოსავლის მიღება 1956 წელს!

უზრუნველყოთ სახელმწიფოს წინაშე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების ვალდებულებათა დროზე შესრულება!

48. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! აამაღლეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კულტურა, ფართოდ დანერგეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება!

გავადიდოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის გამოსავლიანობა 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე შრომისა და სახსრების რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯით!

49. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! ყოველი ღონისძიებით განავითარეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა და გაადიდეთ პირუტყვის პროდუქტიულობა!

მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეცხოველეობის მეტი პროდუქტები!

50. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! გააფართოეთ ბამბის, სელის, შაქრის ჭარხლის, სხვა ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოება და გაადიდეთ მათი მოსავლიანობა!

51. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! მტკიცედ იბრძოლეთ ტექნიკის სრულად გამოყენებისათვის, სოფლის მეურნეობის ყველა დარგში კომპლექსური მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დანერგვისათვის!

52. კოლმეურნეებო! მეტი შემოქმედებითი ინიციატივა გამოიჩინეთ საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციასა და არტელის საქმეთა მართვაში, განამტკიცეთ შრომის დისციპლინა, გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება!

უზრუნველვყოთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველი ღონისძიებით განვითარება!

53. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებო! იბრძოლეთ კოლმეურნეობებში ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულებისათვის!

უკეთ გამოიყენეთ ტრაქტორები, კომბაინები და სხვა მანქანები, შეამცირეთ სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულება, შეამცირეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ხარჯები!

54. საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! უკეთ გამოიყენეთ მიწის სავარგულები, გაადიდეთ მინდვრების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა! გააუმჯობესეთ წარმოების ორგანიზაცია და ტექნიკის გამოყენება!

გადავაქციოთ ყველა საბჭოთა მეურნეობა სანიმუშო დიდადსასაქონლო და რენტაბელურ საწარმოებად!

55. ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მუშაკებო! გაადიდეთ სახალხო მოხმარების საქონლის, სამეურნეო ინვენტარისა და საშენი მასალების წარმოება! უკეთ გამოიყენეთ ადგილობრივი ნედლეული, გააუმჯობესეთ ნაწარმის ხარისხი და შეამცირეთ მისი თვითღირებულება! გააფართოეთ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი და გააუმჯობესეთ მათი მუშაობა!

56. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაკებო! აამაღლეთ საბჭოთა ვაჭრობის კულტურა! უფრო სრულად დააკმაყოფილეთ მშრომელთა მოთხოვნილება საქონელზე! იბრძოლეთ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის!

57. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებო! უზრუნველყავით შეუფერხებელი ტვირთზიდვა! გააუმჯობესეთ მგზავრთა მომსახურება! უფრო ფართოდ დანერგეთ ელექტრომავლები და თბომავლები, აამაღლეთ მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე ტრანსპორტზე!

58. საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გაადიდეთ ტვირთზიდვა, გააუმჯობესეთ მგზავრთა მომსახურება! უფრო გაბედულად დანერგეთ ფლოტისა და ნავსადგურების ექსპლოატაციის ახალი ტექნიკა და მოწინავე მეთოდები!

სანიმუშოდ ჩავატაროთ 1956 წლის ნავიგაცია!

59. საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკებო! გაადიდეთ ტვირთზიდვა! გააუმჯობესეთ მგზავრთა მომსახურება! იბრძოლეთ ავტომობილების ნაყოფიერი გამოყენებისა და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირებისათვის!

სანიმუშო წესრიგში იქონიეთ გზები, გააფართოეთ ახალი გზების მშენებლობა!

60. კავშირგაბმულობის მუშაკებო! დაუცხრომლად ავითარეთ და სრულყავით კავშირგაბმულობის საშუალებანი! იბრძოლეთ ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოს, ტელევიზიის უნაკლო მუშაობისათვის! გააუმჯობესეთ მოსახლეობის მომსახურება!

61. საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო! იბრძოლეთ საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მუშაობის ლენინური პრინციპების დაცვისათვის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, გადაჭრით აღმოფხვერით ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება, გულისხმიერად მოეკიდეთ მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს!

62. სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა მუშაკებო! წინ წასწიეთ საბჭოთა მეცნიერება, გააუმჯობესეთ სპეციალისტთა მომზადება, აამაღლეთ მეცნიერების როლი ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ პროგრესში!

63. ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებო! იბრძოლეთ ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალი იდეურობისათვის, დაუცხრომლად სრულყავით თქვენი მხატვრული ოსტატობა! შექმენით ჩვენი დიდი ხალხის შესაფერი ნაწარმოებნი!

64. სახალხო განათლების მუშაკებო! გააუმჯობესეთ ბავშვების სწავლებისა და აღზრდის ხარისხი, იბრძოლეთ სკოლის პოლიტექნიზაციისათვის! აღზარდეთ ბავშვები საბჭოთა სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების, ხალხთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით!

მოამზადეთ სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებული, კულტურული და შრომისმოყვარე მოქალაქენი, კომუნიზმის აქტიური მშენებლები!

65. მედიცინის მუშაკებო! გააუმჯობესეთ და განავითარეთ სახალხო ჯანმრთელობის დაცვა, აამაღლეთ სამკურნალო და სანიტარულ დაწესებულებათა მუშაობის კულტურა! დანერგეთ პრაქტიკაში მედიცინის მეცნიერების მიღწევები!

66. საბჭოთა პროფკავშირებო! გააჩაღეთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის!

გაავრცელეთ წარმოების ნოვატორთა გამოცდილება! დაუცხრომლად იზრუნეთ მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის! უფრო ფართოდ გამოიყენეთ საწარმოო თათბირები, სამეურნეო აქტივები და წარმოების მართვაში მუშათა მონაწილეობის სხვა ფორმები!

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

67. საბჭოთა ქალებო! იბრძოლეთ ახალი წარმატებებისათვის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ ბავშვთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეში!

გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

68. გაუმარჯოს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირს — კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს, საბჭოთა ახალგაზრდობის ორგანიზატორს, კომუნისტური პარტიის აქტიურ თანაშემწეს და რეზერვს!

69. ჭაბუკებო და ქალიშვილებო, ჩვენო სახელოვანო საბჭოთა ახალგაზრდობავ! უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში! შეისწავლეთ მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, დაეუფლეთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცოდნას!

იყავით მტკიცენი და გაბედულნი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

70. პიონერებო და მოსწავლეებო! ბეჯითად და გულმოდგინედ დაეუფლეთ ცოდნას! იყავით შრომისმოყვარენი და დისციპლინიანნი, იბრძოლეთ წარმატებებისათვის სწავლაში! ემზადეთ გახდეთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აქტიური მშენებლები!

71. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში! გულმოდგინედ დაეუფლეთ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას! იბრძოლეთ ტექნიკური პროგრესისათვის სახალხო მეურნეობაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ზრდისათვის, სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის!

72. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს—ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ბურჯს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევ დასაყრდენს!

73. გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

74. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

75. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

# ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ჩასვლა ინგლისში

პორტსმუტი, 18 აპრილი. **(საკუთარი სპეც. კორ.).** დღეს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი კრეისერ „ორჯონიკიძით“ პორტსმუტში ჩამოვიდნენ.

დილის 9 საათზე ღია ზღვაში კრეისერ „ორჯონიკიძეს“ და მის თანმხლებ საესკადრო ნაღმოსნებს „სმოტრიაშჩის“ და „სოვერშენნის“ შეხვდა ინგლისის საესკადრო ნაღმოსანი „ვიგო“. გაისმა 13 ზალპის სალუტი — ეს საესკადრო ნაღმოსანი „ვიგო“ მიესალმა საბჭოთა ხომალდების რაზმის სარდალს კონტრ-ადმირალ კოტოვს. საბჭოთა ხომალიბმა საპასუხო სალუტი მისცეს. „ვიგოს“ თანხლებით საბჭოთა ხომალდები მიდიან დიდი ბრიტანეთის დიდმნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ბაზისაკენ — პორტსმუტისაკენ.

10 საათსა და 40 წუთზე კრეისერი „ორჯონიკიძე“ და მისი თანმხლები ხომალდები მიდიან პორტსმუტის გარეთა რეიდზე. 21-ჯერ გრიალებს საბჭოთა სამხედრო ხომალდების ქვემეხები — ერთა ტრადიციული სალუტი. საუსი კასლის სანაპირო ფორტიდან გაისმის საპასუხო სალუტი. შემდეგ გაისმის 19 ზალპის სალუტი: საბჭოთა სამხედრო ხომალდები მიესალმებიან პორტსმუტის სამხედრო-საზღვაო ბაზის სარდალს ფლოტის ადმირალს სერ ჯორჯ კრისის.

პორტსმუტის ციხის ქვემეხები საპასუხო სალუტს იძლევიან.

კრეისერი „ორჯონიკიძე“ მიადგა პორტსმუტის ნავსადგურის სამხრეთ რკინიგზის ნავმისადგომს, სადაც შეიკრიბნენ ოფიციალური წარმომადგენლები ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის შესახვედრად.

მადლობა გადაუხადეს რა საბჭოთა ხომალდების რაზმის სარდალს კონტრ-ადმირალ კოტოვს წარმატებით ცურვისათვის, საბჭოთა ხელმძღვანელები ჩამოდიან ნაპირზე ხალიჩადაგებული ტრაპით. 11 საათი და 40 წუთია. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის პატივსაცემად გაისმის ნავმისადგომთან მდგომი ინგლისის ავიოსნის „ბულვერკის“ ქვემეხებიდან 19 ზალპის სალუტი.

ნავმისადგომზე ტრაპთან ამხანაგებს ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს მიესალმნენ დიდი ბრიტანეთის საზღვაო მინისტრი ლორდი კილკენინი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ლორდი რედინგი, პორტსმუტის სამხედრო-საზღვაო ბაზის სარდალი ფლოტის ადმირალი სერ ჯორჯ კრისი, დიდი ბრიტანეთის ელჩი საბჭოთა კავშირში სერ უილიამ ჰეიტერი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეორე განყოფილების გამგე ვ. ი. ეროფეევი, სსრ კავშირის საგანგებო წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთში ვ. ა. კამენსკი, სსრ კავშირის სამხედრო ატაშე დიდ ბრიტანეთში გენერალ-მაიორი ა. ს. როგოვი, სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ატაშე პირველი რანგის კაპიტანი ნ. პ. ელისეენკო, სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ატაშე პოლკოვნიკი ა. მ. კონსტანტინოვი, დიდ ბრიტანეთში სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი პ. მ. ჩერნიშოვი.

ნ. ა. ბულგანინმა ჩამოუარა ნავმისადგომზე ჩამწკრივებულ მეზღვაურთა საპატიო ყარაულს. ორკესტრმა შეასრულა სამხედრო მარში.

შემხვდურებთან მოკლე საუბრის შემდეგ სტუმრები სხდებიან მანქანებში და მიემგზავრებიან ნავსადგურის ვაგზლის შენობისაკენ.

პორტსმუტის ნავსადგურის სანაპიროებზე ათასობით ინგლისელი შეიკრიბა. ისინი გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა სტუმრებს მეგობრული შეძახილებით. საბჭოთა ხომალდების მოსვლას ათასობით ადამიანი ადევნებდა თვალყურს სანაპიროებიდან და პორტსმუტისა და მისი გარეუბნის საუსის ქუჩებიდან, რომლებიც ზღვაზე გადიან.

პორტსმუტიდან საბჭოთა სტუმრები და მათი თანმხლები პირები მატარებლით ლონდონში გაემგზავრნენ.

ლონდონში საბჭოთა სტუმრების გაცილების შემდეგ პორტსმუტის სამხედრო-საზღვაო ბაზის სარდალი ფლოტის ადმირალი კრისი დაბრუნდა საფლაგმანო კრეისერ „ორჯონიკიძეზე“. მარშის ხმებში კრისიმ ჩამოუარა ხომალდის გემბანზე ჩამწკრივებულ საბჭოთა მეზღვაურების რიგებს.

ადმირალ კრისის ახლდა საბჭოთა ხომალდების რაზმის სარდალი კონტრ-ადმირალი კოტოვი.

ლონდონი, 18 აპრილი. **(საკუთარი სპეც. კორ.).** ლონდონში, „ვიქტორიას“ ვაგზლის მოედანზე, საბჭოთა ხელმძღვანელების შესახვედრად შეიკრიბა ათასობით ინგლისელი.

14 საათსა და 15 წუთზე ლონდონის დროით (17 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით) მატარებელი უახლოვდება ვაგზლის ბაქანს. ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები გამოდიან ბაქანზე, სადაც მათ ხვდებიან დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი სერ ანტონი იდენი, საგარეო საქმეთა მინისტრი სელვინ ლოიდი, ლონდონში დიპლომატიური კორპუსის მამასახლისი ნორვეგიის ელჩი პრებენსენი, დიდ ბრიტანეთში სსრ კავშირის საელჩოს წარმომადგენლები.

ნ. ა. ბულგანინმა და სერ ანტონი იდენმა სიტყვები წარმოთქვეს მიკროფონებთან.

## ანტონი იდენის სიტყვა ლონდონში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრისას

მოხარული ვარ ინგლისში მივესალმო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ბულგანინსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ბ-ნ ხრუშჩოვს. მათი ვიზიტი იმ მოწვევის შედეგია, რომლითაც მივმართე ჩვენს სტუმრებს მთავრობათა მეთაურების შეხვედრის დროს ჟენევაში. მას შემდეგ ბევრი ამბავი მოხდა საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ, როგორც დარწმუნებული ვარ, ჩვენი სტუმრები დამეთანხმებიან, რომ მათი ვიზიტის შედეგად ჩვენ მოკველით საუბრებს ბულგანინთან და ხრუშჩოვთან ბევრ საკითხზე, რომლებიც შეეხებიან ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, აგრეთვე მთელ მსოფლიოში მშვიდობასა და აყვავებას.

ეს არის პირველი შემთხვევა, როცა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებმა ინგლისი ინახულეს. მივესალმები მათ და იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენი მოღვაწეობით და გადაწყვეტილებებით გავაუმჯობესებთ ჩვენი ქვეყნებისა და ჩვენი ხალხების ურთიერთობას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ნ. ა. ბულგანინმა.

## ნ. ა. ბულგანინის სიტყვა ლონდონში ჩასვლისას

პატივცემულო ბ-ნო პრემიერ-მინისტრო! ბატონებო!

ჩვენ ჩამოვედით თქვენს შესანიშნავ ქვეყანაში სერ ანტონი იდენის თავაზიანი მოწვევით.

შემოვდგით რა ფეხი ინგლისის მიწაწყალზე, საბჭოთა ხალხის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით მხურვალე სალამს გადავცემთ მისი უდიდებულესობის მთავრობასა და დიდი ბრიტანეთის ხალხს.

საბჭოთა ხალხი დიდი პატივისცემით ეპყრობა ბრიტანელ ხალხს, დიდად აფასებს მის კულტურასა და მის თვალსაჩინო მიღწევებს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. საბჭოთა ადამიანებს ცოცხლად ახსოვთ ჩვენი საბრძოლო მეგობრობა წარსულ ომში საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მკაცრ წლებში.

საბჭოთა მთავრობა ისწრაფვის მეგობრული ურთიერთობა დამყაროს ინგლისთან, ისევე როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებთან, საფრანგეთთან და სხვა ქვეყნებთან. ჩვენი ხალხების ინტერესები და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმე მოითხოვენ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესებას. უკანასკნელ ხანს ამ მიმართულებით შესრულებულია გარკვეული მუშაობა. მაგრამ წინ მოგველის კიდევ დიდი და, შესაძლოა, არაადვილი გზა, რომელიც უნდა გადავლახოთ.

ჩვენს ქვეყნებში სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემები არსებობს, მაგრამ იმის გონივრული გაგებისას, რომ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ერთ პლანეტაზე, განსხვავება სახელმწიფო წყობილებაში არ უნდა გახდეს იმის დაბრკოლება, რომ ვიცხოვროთ როგორც კარგმა მეზობლებმა, აქტიურად ვითანამშრომლოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი ურთიერთობა.

ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის საჭირო ა ღვადგინოთ ფართო ურთიერთ ეკონომიური კავშირი, გავაფართოოთ ჩვენი სავაჭრო ურთიერთობა, აგრეთვე მოვაწყოთ გამოცდილებისა და ტექნიკის, მეცნიერების და კულტურის სხვადასხვა დარგში მიღწევათა შესახებ ინფორმაციის ურთიერთ გაცვლა.

ყოველივე ეს ჩვენ მიგვაჩნია სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებად.

საბჭოთა კავშირი მშვიდობისმოყვარე ქვეყანაა. ჩვენი ხალხი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია იმით, რომ ომმა არასოდეს არ დაარღვიოს მისი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა. ამიტომ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლა ჩვენი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საფუძველს შეადგენს.

ეჭვი არ არის, რომ ბრიტანელ ხალხსაც, რომელმაც აგრეთვე განიცადა საშინელება და გაჭირვება დამანგრეველ ომში, სურს იცხოვროს მშვიდობით და უშიშრად.

საბჭოთა და ბრიტანელი ხალხების მხურვალე მისწრაფება მშვიდობისადმი, მათი დაინტერესებულობა ომის თავიდან აცილებით და გამალებული შეიარაღების შეწყვეტით შეიძლება გახდეს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარების მტკიცე საფუძველი.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ვიზიტი აქ და ჩვენი პირადი კონტაქტები თქვენი ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეებთან ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეს, დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის უფრო მეტი ურთიერთგაგების დამყარებასა და ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას.

• • •

ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები ვაგზლიდან გამოდიან და სხდებიან ავტომანქანებში. მრავალი ლონდონელი გულითადად მიესალმება საბჭოთა ხელმძღვანელ მოღვაწეებს.

მანქანების კორტეჟი მიემართება ოტელ „კლერიჯისაკენ“, რომელიც საბჭოთა ხელმძღვანელების რეზიდენცია იქნება ვიზიტის დროს. გზაში ოტელისაკენ საბჭოთა სტუმრებს მიესალმებოდა ინგლისის დედაქალაქის ათასობით მცხოვრები.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

იმ მიზნით, რომ ფართოდ გამოყენებულ იქნას ატომის ენერგია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და განვითარდეს სსრ კავშირის თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საქმეში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა ატომის ენერგიის გამოყენების მთავარი სამმართველო.

მთავარ სამმართველოს დაეკისრა ელექტროსადგურებისა და სხვა ენერგომაღლოვანი დანადგარებისათვის ატომის რეაქტორების შემუშავების ამოცანები, აგრეთვე ატომის ენერგიის გამოყენების სხვა გზების გამონახვის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხელმძღვანელობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ატომის ენერგიის გამოყენების მთავარი სამმართველოს უფროსად დაინიშნა ამხ. ექვთიმე პავლეს-ძე სლავსკი.

## ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავისადმი

### სტალინური

სამხრეთ ოსეთის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ფართოდ აღნიშნავენ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავს.

ოლქის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და მტს-ებში, აგრეთვე სასწავლებლებში ეწყობა ლექციები, მოხსენებები და საუბრები ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. სტალინირის საქალაქო კომიტეტის ლექტორები გ. კოტოლოვი, ი. ცხოვრებოვი, ნ. გაგლოევი და სხვები საწარმოებსა და დაწესებულებებში კითხულობენ ლექციებს თემებზე: „ვ. ი. ლენინი — კომუნისტური პარტიის დამაარსებელი და ბელადი“, „ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია“, „ვ. ი. ლენინი ხალხის, როგორც ისტორიის შემოქმედის და ახალი სოციალისტური ცხოვრების შემქმნელის შესახებ“. ამავე თემებზე ლექციები იკითხება მტს-ებსა და კოლმეურნეობებში.

ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენები მოეწყო პარტიის სტალინირის საქალაქო და რაიონულ პარტიულ ბიბლიოთეკებში, აგრეთვე პედაგოგიურ ინსტიტუტში, საოლქო ბიბლიოთეკასა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. **(საკ. კორ.).**

## თ ე ლ ა ვ ი

რაიონის საწარმო-დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებსა და კოლმეურნეობებში პარტიის რაიკომის ლექტორები და მომხსენებლები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის დიდი ლენინის დაბადების 86-ე წლისთავთან დაკავშირებით აწყობენ ლექციებს, მოხსენებებსა და საუბრებს.

ლექციები გაიმართა თემებზე: „ვ. ი. ლენინი — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორი და ხელმძღვანელი“, „საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა ლენინიზმის იდეების განხორციელებაა“, „ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ლენინური პრინციპი და მისი განხორციელება კომუნისტური პარტიის მოღვაწეობაში“ და სხვ.

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მასალების გამოფენები მოეწყო პარტიულ ბიბლიოთეკაში, აგრეთვე სოფლის კლუბებსა და ბიბლიოთეკებში. **(საკ. კორ.).**

# საინფორმაციო ცნობა

## კომუნისტური და მუშათა პარტიების საინფორმაციო ბიუროს შეწყვეტის შესახებ

კომუნისტური და მუშათა პარტიების საინფორმაციო ბიუროს შექმნამ 1947 წელს დადებითი როლი შეასრულა კომპარტიებს შორის იმ გათიშულობის აღმოფხვრაში, რომელიც შეიქმნა კომინტერნის დაშლის შემდეგ, იგი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგებში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განმტკიცებისა და მტკიცე მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის შემდგომი დარაზმვის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. საინფორმაციო ბიუროს და მისმა ბეჭდვითმა ორგანომ — გაზეთმა „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!“ დადებითი როლი შეასრულეს კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შორის ძმური ურთიერთობის და გამოცდილების ურთიერთგაზიარების განვითარებისა და განმტკიცების საქმეში, ცალკეული ქვეყნების კონკრეტულ პირობებთან შეფარდებით მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხების და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოცდილების გაშუქების საქმეში. ამან ხელი შეუწყო მომმე პარტიების იდეურ და ორგანიზაციულ-პოლიტიკურ განმტკიცებას, მასებში კომპარტიების გავლენის გაძლიერებას.

ამასთანავე კომუნისტური და მუშათა პარტიების საქმიანობისათვის ახალი პირობები შექმნა ცვლილებებმა, რომლებიც საერთაშორისო ვითარებაში მოხდა ამ უკანასკნელ წლებში: იმან, რომ სოციალიზმი გასცილდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და გადაიქცა მსოფლიო სისტემად; შეიქმნა ვრცელი „მშვიდობის ზონა“, რომელიც შეიცავს ევროპისა და აზიის როგორც სოციალისტურ, ისე არასოციალისტურ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს; გაიზარდა და განმტკიცდა ბევრი კომუნისტური პარტია კაპიტალისტურ, დამოკიდებულ და კოლონიურ ქვეყნებში და მოხდა მათი საქმიანობის აქტივიზაცია ომის საფრთხისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში, მშვიდობისათვის, მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებისა და თავიანთი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, დასასრულ, ამჟამად განსაკუთრებული ძალით დაისახა ამოცანები — აღმოიფხვრას მუშათა მოძრაობის გათიშვა და განმტკიცდეს მუშათა კლასის ერთიანობა მშვიდობისათვის, სოციალიზმისათვის წარმატებითი ბრძოლის უზრუნველსაყოფად. კომუნისტური და მუშათა პარტიების საინფორმაციო ბიურო როგორც თავისი შემადგენლობით, ისე თავისი საქმიანობის შინაარსით აღარ შეესაბამება ამ ახალ პირობებს.

საინფორმაციო ბიუროში შემავალი კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, გაუზიარეს რა ერთმანეთს აზრები საინფორმაციო ბიუროს საქმიანობის საკითხებზე, ცნეს, რომ საინფორმაციო ბიურომ, რომელიც მათ 1947 წელს შექმნეს, ამოწურა თავისი ფუნქციები, რის გამო ურთიერთ თანხმობით მიიღეს გადაწყვეტილება — შეწყვიტონ კომუნისტური და მუშათა პარტიების საინფორმაციო ბიუროს საქმიანობა და მისი ორგანოს — გაზეთ „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!“ გამოცემა.

საინფორმაციო ბიუროს მონაწილე კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს მიაჩნიათ, რომ თვითეული პარტია ან პარტიათა ჯგუფი მუშათა კლასის ინტერესებისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის ბრძოლაში, განავითარებენ რა თავიანთ საქმიანობას მარქსისტულ-ლენინური პარტიების საერთო მიზნებისა და ამოცანების და თავიანთი ქვეყნების ეროვნულ თავისებურებათა და პირობათა შესაბამისად, გამონახავენ ახალ სასარგებლო ფორმებს ურთიერთ შორის კავშირისა და კონტაქტების დასამყარებლად. კომუნისტური და მუშათა პარტიები, უეჭველია, კვლავაც თავიანთი შეხედულებით და თავიანთი საქმიანობის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით გაუზიარებენ ერთმანეთს აზრებს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ინტერესების დაცვის, ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად ხალხის მასების მობილიზაციის საკითხებზე და ამასთანავე განიხილავენ სოციალიზმის ორიენტაციის პარტიებთან და მიმდინარეობებთან, აგრეთვე ისეთ სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხებს, რომლებიც მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკიცებას ესწრაფვიან. ყოველივე ეს კიდევ უფრო განამტკიცებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შორის ურთიერთ თანამშრომლობის სულისკვეთებას, განამტკიცებს ძმურ ურთიერთობას მათ შორის მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის ინტერესებისათვის.

**ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**
**უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი**
**იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**
**პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი**
**რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი**
**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**
**ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**
**საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

# ძველი კომუნისტების მოგონებები ვ. ი. ლენინზე

სახელგამმა ქართულ ენაზე გამოსცა „მოგონებანი ვ. ი. ლენინზე“. მისი ავტორები არიან ძველი ბოლშევიკები, რომლებიც პირადად იცნობდნენ ლენინს და მუშაობდნენ მასთან. წიგნში მოყვანილია აგრეთვე მოგონებანი „ტროიოგორკის“ მუშებისა, სადაც ხშირად იმყოფებოდა ლენინი.

წიგნი იხსნება გ. კრჟიჟანოვსკის სტატიით, რომელშიც იგი მოგვითხრობს ლენინის ჩასვლაზე პეტერბურგში და იმაზე, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ლენინის მოღვაწეობას რუსეთში მუშათა მოძრაობის შემდგომი აღმავლობისათვის.

როგორც ცნობილია, 1895 წლის დეკემბერში ქანდარმებმა დაარბიეს „ბრძოლის კავშირი“, დააპატიმრეს ლენინი — „კავშირის“ ორგანიზატორი და ხელმძღვანელი და მისი მოღვაწეების მნიშვნელოვანი ნაწილი. მიუხედავად უმკაცრესი რეჟიმისა, ლენინი და „კავშირის“ სხვა წევრები ახერხებდნენ მიწერმოწერას ერთმანეთთან ციხეში. ლენინის წერილები „ბრძოლის კავშირის“ წევრებს უნერგავდა სიმხნევესა და რწმენას, ამაღლებდა მათს რევოლუციურ განწყობილებას. „მისი წერილის მიღება და წაკითხვა, — წერს კრჟიჟანოვსკი, — ეს იმას უდრიდა, რომ მიგვეღო რაღაც განსაკუთრებით გამამაგრებელი და გამამხნევებელი სასმელი, ეს ნიშნავდა იმას, რომ მყისვე გავხალისებულიყავით და გვეგრძნო სულიერი ძალის მოზღვავება. ამ ადამიანში ისეთი დიდი სულიერი სიმდიდრე იყო, ისეთი უნარი კეთილად და საჭირო მხრით ემოქმედნა სხვა ადამიანის განწყობილებაზე, ვინც ამას საჭიროებდა, რომ უკვე მარტო ეს თვისებები ყოველგვარ პირობებში, ციხეში კი განსაკუთრებით, მას სავსებით შეუცვლელ ამხანაგად ხდიდა“ (გვ. 19-20).

ც. ზელიკსონ-ბობროვსკაია საინტერესოდ მოგვითხრობს რსდმპ II ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების შესახებ. ავტორის მოგონება ერთხელ კიდევ ადასტურებს ლენინური ხაზის სიდიადესა და ცხოველმყოფელობას. ისტორიამ დაადასტურა, რომ კომუნიზმისათვის ბრძოლაში მუშათა კლასს სჭირდება ისეთი პარტია, როგორიც ააგო ლენინმა.

ძველი პარტიული ლიტერატორი ვ. კარპინსკი მოგონებებში ლენინს ახასიათებს როგორც მკაცრ, მაგრამ სამართლიან რედაქტორს. ლენინი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა პრესას. პრესაში მოთავსებული ყოველი სტა-




ტიისაგან მოითხოვდა ცოცხალ, ახალ აზრს, მკვეთრ სიტყვას. იგი განსაკუთრებული უურადღებით ეკიდებოდა მუშათა კორესპონდენციებს.

ს. გოპნერი მოგვითხრობს ლენინის პარიზში ცხოვრების პერიოდზე, სადაც იგი ხშირად ხვდებოდა ილიჩს. გოპნერი მოხიბლულა ლენინთან შეხვედრით: „ამ საოამის პირველად განვიცადე ადამიანებზე ლენინის ზემოქმედების ყოვლისდამპყრობი ძალა... მარტოოდენ თავისი უსიტყვო ყურადღებით და ძალიან მცირერიცხოვანი შეკითხვებით ლენინი ამხნევებდა და სალაპარაკოდ განაწყობდა თანამოსაუბრეს. ლენინის ეს თვისება ბოლშევიკების ერთ-ერთ საუკეთესო ტრადიციად გადაიქცა. მოსმენის... უნარი წარმოადგენს ადამიანთა შესწავლის საუკეთესო საშუალებას, მათი აზრდისადმი, მათი მორალურ-პოლიტიკური ამაღლებისადმი საუკეთესო დახმარებას და ამასთან ერთად პარტიაში სამუშაოდ მათი ყველაზე მიზანშეწონილად გამოყენების საშუალებას“ (გვ. 94).

ახალგაზრდობისადმი ვ. ი. ლენინის დიდი იხტერესის, რევოლუციურ მოძრაობაში ახალგაზრდობის გაბედულად მიზიდვის აუცილებლობის შესახებ მოგვითხრობს მოგონებებში ე. სტასოვა. სტასოვა იგონებს აგრეთვე ვლადიმერ ილიას-ძის გამოსვლას რუსი სოციალ-დემოკრატების კრებაზე 1905 წლის 30 ოქტომბერს (2 ნოემბერს). ლენინის „...სიტყვები ისეთი რკინისებური ლოგიკით იყო გამსჭვალული, რომ „ივითად თუ ვინმე გაბედავდა პირდაპირ და აშკარა შეკამათებას. ლენინის მოხსენებას ესწრებოდნენ მენშევიკებიც, მაგრამ მოხსენების დროს მათგან არცერთი წამოძახილი არ ყოფილა. ილიჩს არ აწყვეტინებდნენ ლაპარაკს. ხოლო როცა დამთავრდა მოხსენება, მენშევიკებიდან არც ერთი არ გამოსულა ლენინის წინააღმდეგ. მეორე დღეს კერძო კამათის დროს გამოთქვამდნენ ისინი თავის აზრს ვლადიმერ ილიას-ძის დებულებების წინააღმდეგ“ (გვ. 100).

მოგონებებში გ. პეტროვსკი ლენინს გვიხასიათებს როგორც პარტიის ბრძენ ბელადს, უბრალო და თავმდაბალ ადამიანს, პარტიაში კოლექტიური ხელმძღვანელობის თანმიმდევარ დამცველს. ლენინი კომუნისტებს ასწავლიდა როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ მოღვაწეობაში გამოეჩინათ თავმდაბლობა, პირველ ადგილზე დაეყენებინათ პარტიის, ხალხის ინტერესები.

„ტროიოგორკის“ მუშები მოგონებებში ცოცხლად და საინტერესოდ მოგვითხრობენ, თუ რა მჭიდრო კავშირი ჰქონდა ლენინს მშრომელ მასებთან, როგორ უყვარდა და აფასებდა მათ. „ლენინი იყო ყოველდღე და ყოველ საათს მშრომელთა ფართო მასებთან. მას აინტერესებდა ყველაფერი, რაც მათ ცხოვრებას ეხებოდა, ზრუნავდა მათს საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე“, — იგონებს მუშა ს. მალინკინი (გვ. 117).

ძველი ბოლშევიკების მოგონებებიდან მკაფიოდ ჩანს, თუ რაოდენ ღრმა და ძლიერი იყო ვ. ი. ლენინის კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან. მასებთან ამ უწყვეტ კავშირშია ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ძალისა და უძლეველობის წყარო.

**დ. კაკაბაძე.**

ხალხთა მეგობრობის დიადი დროშით

# საქართველოს სოფლები მეექვსე ხუთწლედში

ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში ცხოვრობენ და თავდადებით შრომობენ საბჭოთა სომხეთის მშრომელები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სომხეთის მშრომელების, იხელ როგორც ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელების წინაშე, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ახალ, ნათელ პერსპექტივებს სახავენ.

ახალი ხუთწლედის განვავლობაში სომხეთის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია დაახლოებით 1,7-ჯერ გადიდდება. ელექტროენერგიის გამომუშავება უნდა გადიდდეს დაახლოებით 1,8-ჯერ, მინერალური სასუქების წარმოება — 1,6-ჯერ, ცემენტისა — 2-ჯერ, ყურძნის ღვინისა — 1,4-ჯერ, ტყავის ფეხსაცმლისა — 1,5-ჯერ.

დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. 1960 წელს 1955 წელთან შედარებით მარცვლეულის წარმოება გადიდდება დაახლოებით 1,5-ჯერ, ხორცისა — 2,1-ჯერ, რძისა — 2,2-ჯერ, მატყლისა — 1,8-ჯერ, აბრეშუმის პარკისა — 1,8-ჯერ. ახალ, დღემდე ათვისებელ მიწებზე აუკავდება ხეხილის ბაღები, გადიდდება ვენახების ფართობი შემდგომ განვითარდება მეგამპეობა. 39 ათას ჰექტარ ფართობზე აშენდება სარწყავი ქსელი.

ამ გვერდში მოთავსებული მასალები მოგვითხრობენ, თუ რისთვის იბრძვიან და იბრძოლებენ მეექვსე ხუთწლედში საბჭოთა სომხეთის მშრომელები.

## ერევანი 1960 წელს

(საუბარი ქალაქ ერევნის მთავარ არქიტექტორთან გ. ალაბაბიანთან)

მეექვსე ხუთწლედში საბჭოთა სომხეთის დედაქალაქი ერევანი ტერიტორიულად მნიშვნელოვნად გაფართოვდება, მისი საზღვრები საკმაოდ დაუახლოვდება დაგეგმარების ნიშნულებს, რომლებსაც 15-წლიანი გენერალური გეგმა ითვალისწინებს. ქალაქის ფარგლებში შევა შაუმიანისა და კოტაიკის რაიონების ნაწილი თავიანთი რაიონული ცენტრებით.

მდინარე რაზდანი, რომელიც წინათ ერევანს სამხრეთ-დასავლეთით ჩაუდიოდა, მთლიანად შევა ქალაქის ფარგლებში. მდინარის ღრმა თვალწარმტაც კანიონზე უკვე აგებულია ახალი ხიდები, რომლებითაც მოსახერხებელი სატრანსპორტო კავშირი დამყარდა შაუმიანის რაიონთან.

დიდ განვითარებას მიაღწევს რესპუბლიკის დედაქალაქის ახალგაზრდა რაიონი — მიქოიანის რაიონი. ერთ დროს უშენ ქვიან ადგილებში ამჟამად გაჰყავთ ახალი ქუჩები — კიევის, კომიტასისა და სევანის ქუჩები, რომლებზეც ვარდისფერი და ნარინჯისფერი ტუფის მრავალსართულიან საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებს აგებენ. დასრულებულ არქიტექტურულ სახეს ეს ქუჩები ხუთწლედის ბოლოსათვის მიიღებენ.

აღსანიშნავია, რომ ახალი საბინაო მშენებლობა, რაც ტიპური პროექტების მიხედვით ინდუსტრიული ნეთოდებით ორარმოებს, ძირითადად გაჩაღდება მიქოიანისა და შაუმიანის რაიონებში, როგორც კლიმატური თვალსაზრისით ყველაზე ხელსაყრელ რაიონებში.

მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში ერევანში აგება 50 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, 25 სკოლა, ბევრი კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამკურნალო დაწესებულება. უკვე დაწყებულია „პიშჩევიკის“ დიდი სტადიონის მშენებლობა საბავშვო რკინიგზის რაიონში. შედგენილი და დამტკიცებულია პროექტი სასპორტო პარკისა, რომელიც ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აშენდება. საქმესპეციალიზაციოდ გადაეცემა ნუშათა რამდენიმე კლუბი დიდ საწარმოებთან, ავტო და აეროვაგზლები. გათვალისწინებულია სუნდუკიანის სახელობის დრამატული თეატრის ახალი შენობის აგება. უახლოეს წლებში დამთავრდება ლენინის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის საპოლოო არქიტექტურული გაფორმება. მიმდინარე წლის 1 მაისისათვის საქმესპეციალიზაციოდ გადაეცემა ერევნის ახალი ვაგზლის შენობა.

სომხეთის „ჰიდროენერგოპროექტი“ აგებენს ქალაქის სამხრეთ ნაწილში 75 ჰექტარ ფართობზე ტბის მოწყობის პროექტს.

გაიკეთა რამდენიმე წელი, და სომხეთის დედაქალაქი ერევანი უფრო გალამაზდება და დაამშვენდება.

## ლენინაკანის კეთილმოწყობა

მნიშვნელოვნად ფართოვდება კეთილმოწყობის სამუშაოები რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ ცენტრში — ლენინაკანში. ამ მიზნით ახალ ხუთწლედში დაიხარჯება 9.072 ათასი მანეთი. გაფართოვდება საქალაქო ტრანსპორტი, წყალსადენის, ელექტროგანათების, კავშირგაბმულობის ქსელი. ასფალტით დაიფარება 20 ათასი კვ. მეტრი და მოიკირწყლება 70 ათასი კვ. მეტრი ფართობი.

უფრო კეთილმოწყობილი გახდება ქალაქის მუშათა დაბები და გარეუბნები.

## ARზნის ჰესი ამუშავების წინ

განუწყვეტელი აფეთქებები აყრუებს მდინარე რაზდანის ხეობას. აქ არზნის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები შეუპოვარ ბრძოლას ეწევიან მყაცრ ბუნებასთან, სახეს უცვლიან მდინარის კლდოვან ნაპირებს.

ღრმა ხეობაში ქვისა და მიწის ზლუდარმა გზა გადაუღობა მთის მჩქეფარე მდინარეს. გვერდზე გადაგდებული მდინარე უდიდესი ძალით იჭრება ვიწრო გვირაბში, გადის 140 მეტრიან გზას და კვლავ ძველ კალაპოტში ეშვება.

ზლუდარებით შემოფარგლულ ქვაბულში შენდება მაღალი კაშხალი. აქ უკვე ჩასხმულია პირველი ასეული კუბმეტრი ბეტონი. აღმართია ნაკადმიმართველი კედელი, წყალმიმღებმა თავისი სახე მიიღო.

განუწყვეტლივ მოძრაობს მძლავრი ამწე, რომელიც ვაგონეტებს ყორექვას აწვდის. მას კაშხალში აწყობენ ტ. სტეპანიანის ბრიგადის მებეტონეები. აქვე რკინის მილებით მოედინება ბეტონის მასა ქარხნიდან, რომელიც აგებულია მაღალ ხრამში. ბრიგადის დავალებაა 40 კუბმეტრი ბეტონი ცვლაში, მაგრამ მებეტონეები თვითეულ ცვლაში 50 კუბმეტრ და უფრო მეტ ბეტონს ასხამენ.

კაშხალის გვერდით, კლდოვანი მასივის დაჭანებულ კედელზე ნათლად ისახება სადერივაციო გვირაბის შესასვლელი პორტალი. მიწის ქვეშ შრომობენ გვირაბის გამყვანები, რომლებიც ალმურვილი არიან მძლავრი ტექნიკით — პერფორატორებით და ქანსატვირთი მანქანებით. გვირაბგამყვანებს ხშირად წინ ელობებთან როგორც ბაზალტის მაგარი ქანები, ისე თირის გრუნტი. ხშირად გამოხეთქავენ გრუნტის წყლები, ჩამოშლას იწვევს გამონაშუშვრის თაღი. საჭიროა სიმამაცე, ცოდნა და გამოცდილება, რომ თავიდან აიცილო საშიშროება, მტკიცედ განაგრძო გვირაბის გაყვანა.

მთელ მშენებლობაზე სახელი გაითქვეს გვირაბგამყვანთა ბრიგადირებმა ა.ოფ კაზარიანმა და სამველ ოვსეფიანმა. შარშან მათმა ბრიგადებმა ორჯერ გაიმარჯვეს ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს გვირაბგამყვანთა ბრიგადების საკავშირო შეჯიბრებაში. მოწინავეთა რიგებს განუწყვეტლივ ემატებიან შრომის მაღალი ნაყოფიერების ახალი ოსტატები.

რამდენიმე კილომეტრის შემდეგ გვირაბი მიწის ზედაპირზე ამოდის, საიდანაც წყალი გზას განაგრძობს ღია არხით, შემდეგ კვლავ გვირაბში მიიმალება და აკვედუკით სანწეო აუზში შედის. აქედან დაიწყება არზნი-შამირამის სარწყავი სისტემა, რომლის მშენებლობა გათვალისწინებულია პარტიის XX ყრილობის დირექტივებით.

ცხარე დღეებია ახლა ჰიდრომემონტაჟეებისათვის. მათ უნდა გააწყონ 800 მეტრი ფოლადის მილსადენი, დაამონტაჟონ გამათანაბრებელი შახტი. სამუშაოთა მოცულობა დიდია. მათი შესრულების ვადები კი ძალიან მკაცრ. ჰიდროტურბინების ამუშავებამდე რამდენიმე თვე დარჩა.

საწნეო მილსადენით 110 მეტრი სიმაღლიდან სევანის წყალს გადაუშვებენ ჰიდროსადგურის მიწისქვეშა შენობაში დადგმული ტურბინების ფრთებზე. ეს საინტერესო და რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობა მთლიანი ბაზალტის კლდის სიღრმეშია. ამ კლდიდან საგენერატორო შენობის მოსათავსებლად მშენებლებმა უკვე ამოიღეს 40 ათასი კუბმეტრი ქანი.

მკრთალ შუქზე ოდნავ ჩანს ამ არაჩვეულებრივი შენობის კონტურები. ზემოთ, დიდ სიმაღლეზეა დამრეცილი თაღი კედლები დაბეტონებულია. მშენებლები ქანის უკანასკნელ კუბმეტრებს იღებენ წყლისქვეშა მასივიდან, რომელიც მდინარის დონეზე დაბლაა. მძლავრი ტუმბოები განუწყვეტლივ ქაჩავენ წყალს. მალე მშენებლებს მემონტაჟეები შეესვლიან, დაიწყება მშენებლობის დასკვნითი ეტაპი.

დიდი შრომითი აღმავლობაა სადგურის ეკსპლოატაციის მუშაკთა მუდმივი დაბის მშენებელთა შორისაც. დაბას, რომელიც მდინარე რაზდანის მარჯვენა ნაპირზე შენდება, უკვე ამშვენებენ ვარდისფერი ტუფით ნაგები საცხოვრებელი სახლები, ამბულატორია და სკოლა, რომელიც თეთრი ფელიზიტით არის აშენებული.

შორს არ არის ის დღე, როცა ფაზდანის წყალი გაივლის სევან-რაზდანის კასკადის კიდეკ ერთ ჰიდროელექტროსადგურს. რესპუბლიკაში გადიდდება ალუმინის, სპილენძის, ელექტრომანქანების, ლითონსაჭრელი ჩარხების, ჰიდროტურბინების, კომპრესორების, ავტოსაბურავების, მინერალური სასუქების, ფართო მოხმარების საგნების წარმოება.

არზნის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დამთავრების შედეგად წყალს მიიღებს არზნი-შამირამის სარწყავი სისტემაც. რაზდანის წყალი მოარწყავს ვგალვიან მიწებს, სადაც გაშენდება ვენახები და ხეხილის ბაღები.

ა. პეტროსიანი.

• • •

სურათებზე: ზრუნვა—არზნიჰესმშენის საუკეთესო გვირაბგამყვანი ს. ოსეფიანი; საწნეო მილსადენის დამონტაჟება; კოშკური ამწეები სამშენებლო მოედანზე.

ფოტო ბ. ნემრუტისა.

## ვაგრძელებთ ტრადიციულ შეჯიბრებას

უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩვენს კოლმეურნეებს მტკიცე მეგობრული ურთიერთობა აქვთ საქართველოს სსრ ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუბიშევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებთან. სოციალისტური შეჯიბრება, გამოცდილების მეგობრული გაზიარება ახალ ენერგიას გვმატებს. დღეს ჩვენ გვსურს მოკლედ ვუამბოთ ჩვენს ქართველ მეგობრებს, თუ როგორ ცხოვრობენ და შრომობენ ამ დღეებში ფონტანელი კოლმეურნეები.

გასული წელი ჩვენი დიდი შრომითი წარმატებების წელი იყო. მარტო მეცხოველეობით 957 ათასი მანეთი შემოსავალი მივიღეთ. ეს ჩვენი დიდი გამარჯვებაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეხუთე ხუთწლედის დასაწყისში არტელის მთელი შემოსავალი 600 ათას მანეთს უდრიდა.

ჩვენი კოლმეურნეობის განვითარების საფუძველს ძირითადად მეცხოველეობა წარმოადგენს. ამიტომ მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის შემოსავალი გაბედულად დავგეგმეთ 1,5 მილიონი მანეთის ოდენობით. თავდადებით ვიმუშავებთ ამისათვის, რომ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიმდინარე წელს მივიღოთ 2 ათასი კილოგრამი რძე, საშალოდ ყოველ დედაღორზე — 17 გოჭი და თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე — 120 კვერცხი. ფართოდ გავაჩაღებთ მეცხოველეობის ობიექტების მშენებლობას.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ მეშინდვრეობის განვითარებას. კოლმეურნეთა საერთო კრებამ გადაწყვიტა: 1960 წელს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა აყვანილ იქნას საშუალოდ ჰექტარზე 18 ცენტნერამდე, წელს კი — უკვე 14 ცენტნერამდე.

დიდ სარგებლობას გვაძლევს სიმინდი. შარშან პირველად დავთესეთ 30 ჰექტარი სიმინდი, რის მეოხებითაც პირუტყვისათვის მრავალი ათეული ცენტნერი მაღალხარისხოვანი საკვები მოვიმარაგეთ. ვფიქრობთ, სიმინდის მოყვანის საქმეში ბევრი რამ შეგვეძლია ვისწავლოთ ჩვენი ქართველი მეგობრებისაგან.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდი, რაც სამშენებლო სამუშაოების, სოფლის კეთილმოწყობის ახალ შესაძლებლობებს გვაძლევს. უკვე დავიწყეთ სოფლის სკოლის ორსართულიანი შენობის აგება.

ახლა მთელი ჩვენი ფიქრები საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ ჩატარებისაკენ, საგაზაფხულო-საზაფხულო საძოვრებზე პირუტყვის სანიმუშოდ მოვლა-პატრონობისაკენ არის მიმართული. ვფიქრობთ, წარმატებით გავართმევთ თავს ამ სამუშაოს, შემოდგომაზე კი ჩვენი კოლმეურნეთა დელეგაცია შილდელ კოლმეურნეებს ესტუმრება.

ვიცით, რომ ჩვენი მეგობრებიც ამჟამად ენერგიულად მუშაობენ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებისათვის. ძალიან გვაინტერესებს, რა გეგმებით დაიწყეს ახალი ხუთწლედი სოფელ შილდის კუბიშევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა, რა ამოცანები აქვთ დასახული კოლმეურნეობის მემინდვრეებსა და მეცხოველეებს, რა ახალი მეთოდები შეუძლიათ გაგვიზიარონ და შეგვასწავლონ. ველით შილდელი მეგობრების წერილებს.

მ. სარქისიანი.

**სომხეთის სსრ ახტის რაიონის სოფელ ფონტანის სპანდარიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.**

## ცვლილებანი რესპუბლიკის რუკაზე

**ბაკურიანი** ხუთი წელი, არც თუ ისე დიდი დრო, მაგრამ რარიგ შეიცვალა სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რუკა! ახალი ქარხნები და ფაბრიკები ძალიანები და შატები წარმოიქმნებიან მის სხვადასხვა კუთხეში. ტრამალებისა და ნახევრადუშენი ძოვნები ახალი ქსოვილი დაიფარება ხეხილის ბაღებით და ვენახებით, ახალი არხები მაცოცხლებელ წყალს მიაწვდიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიდგრების, სადაც უფრო უხვად გაიხარებს მარცვლეული კულტურები, ბამბა და თამბაქო. ასობით ახალი სახეობის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ქიდებენ საბჭოთა ადამიანები. მეექვსე ხუთწლედის შესახებ სკკპ XX ყრილობის დირექტივების განხორციელების შედეგად.

სომხეთის სახალხო მეურნეობის საფუძველს ჰიდროენერგეტიკა წარმოადგენს. ამიტომ მეექვსე ხუთწლედში დიდ გაჭანებას ქიდებს ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ხუთწლედის განმავლობაში რესპუბლიკაში ელექტროენერგიის გამომუშავება გადიდდება დაახლოებით 1,8-ჯერ. ამ მიზნით გათვალისწინებულია სევან-რაზდანის კასკადზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დამთავრება.

ამჟამად ქმდინარეობს არზნის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მეოთხე საფეხურის მშენებლობა. ქმდინარე წლის დამლევს ის პირველ სამეწველო დენს მოგვცემს. დაწყებულია მოსამზადებელი ეუშობა ეთარბეკიანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის. მომავალ წელს დაიწყება ერევნის ახალი, არგავანის და ნორაგავიტის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, რითაც დამთავრდება სევან-რაზდანის კასკადის აგება.

მეექვსე ხუთწლედში ჩრდილოეთ-დასავლეთ სომხეთის ჰიდროენერგეტიკული პრობლემის გადაჭრა — მდინარე ვოროთანზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობა. პირველი მათგანის — თათევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას 1959 წელს შეუდგებიან.

ამჟამად რესპუბლიკაში ელექტროფიცირებულია კოლმეურნეობათა 80 პროცენტი, ხუთწლედის განმავლობაში გათვალისწინებულია საბელმწიფო ფერმერულ მეურნეობებთან დაბარჩენი კოლმეურნეობების შეერთება. ამრიგად, 1960 წლისათვის ჰექტარად დამთავრდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია.

...ერევანს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ეკვლის და მაღლა ამიმართება რკინიგზის შტო. იგი დიდ სომეხ ჰეწერლის ხაჩატურ აბოვიანის სახმობლის ქანაჭარს ჩაუვლის, ბლატნეზე გადის და მდინარე რაზდანის ხეობის გაყოლებით ცისფერ სევანის ნაპირებისაკენ მიეკანება. მომდინარე წელს რკინიგზის ხაზის გასწვრივ დაიწყება აღმართული ლითონის ანძების აღმართვა, რომლებზეც შემდეგ საკონტაქტო ქსელი გაიბმება. კიდევ სულ ცოტა ხანი და ერევან-სევანის ელაბაზე ეკვლის მოტორ-ვაგონის სექციის კომფორტაბელური ვაგონები.

სომხეთი მდიდარია ძვირფასი საშენი მასალებით. მის წიაღში ვარდისფერი და ნარინჯისფერი ტუფი, მკრთალი მოყვითანო და თეთრი ფელიზიტები, პემზისა და კირქვის, ვერცხლისფერი ბაზალტისა და მრავალფერი მარმარილოს ულვავი მარაგი. მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებული დიდი საძიებლო სამუშაოები რომ შესრულდეს, საჭიროა მეტი საშენი ძალა. 1960 წელს მომდინარე წელთან შედარებით ცემენტის წარმოება გადიდდება 2-ჯერ, კირისა — 1,7-ჯერ, შიფერისა — 1,5-ჯერ, პემზა-ბლოკებისა — 1,9-ჯერ. ხუთწლედის განმავლობაში ამენდება ასაწყობი რკინაბეტონის ნაგებობათა ქარხნები ერევანში, ლენინაკანსა და კიროვაკანში, კირის ქარხნები — არარატში, ლაფანში, გიორისსა და აზიზბეკოვში, გაჯრ ქარხანა — ბირუმში.

1956-1960 წლებში განვითარდება სომხეთის სამრეწველო წარმოების ახალი დარგები. ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში მოეწყობა თეჯრ. ფოლადისა და ფერადი ლითონის სხმულის წარმოება. ამ მიზნით დაბა ელარში ენდა ამენდეს ცენტრალური ლითონსამსხმელო ქარხანა. არტაშატში შენდება ფიტინგის ქარხანა. ლენინაკანში, არტიკის ტუფის ძლავრი კარიერების მახლობლად, აგებენ ქვისდამამუშავებელი ნარხების ქარხანას. აქ ამუშავდება ბგრეთვე საკერავი და სარკეცხი მანქანების ქარხანა. რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყება „ერევნის“ მარკით ჰანინოების გამოშვება. კიროვაკანში შენდება ავეჯის ახალი ფაბრიკა.

მეექვსე ხუთწლედში სერიოზული ყურადღება ექცევა ძსუბუქი მრეწველობის განვითარებას. ბართის წარმოება წელიწადში 1 240 ტონით გაიზრდება, ქალისა და მამაკაცის წინდების ნაწარმისა — 5,4 მილიონ წყვილით ეს მილიონი იქნება ირსებული საწარმოების ძარეუ-ლი რეკონსტრუქციით და ახალი საწარმოების მშენებლობით.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XX ყრილობის დირექტივების მიხედვით სომხეთის მესამე სამრეწველო ცენტრში კიროვაკანში შეიქმნება ხელოვნური ბოჭკოს — აცეტატური აბრეშუმის ქარხანა, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკაში ტრიკოტაჟის და აბრეშუმის ქსოვილების წარმოებას ფართოდ განვითარებას. საკმარისია ითქვას, რომ ამ ქარხნის ამუშავების შემდეგ ლენინის სახელობის ერევნის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა თავის საწარმოო სიმძლავრეს სამჯერ გაადიდებს.

რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც სახელგანთქმულია სომხური ხალიჩები. ისინი წარმოდგენილი არიან საერთაშორისო გამოფენებზეც. სადაც მუდამ მაღალ შეფასებას იმსახურებენ. მომდინარე ხუთწლედის მაძიებლზე რესპუბლიკაში ამენდება ხალიჩის შვიდი საქსოვი ფაბრიკა, რომლებიც წელიწადში 12 ათას კვადრატულ მეტრ ხალიჩებს გამოუშვებენ. ერთ-ერთი ასეთი დიდი ფაბრიკა ქალაქ კიროვაკანში შენდება.

მნიშვნელოვნად განვითარდება სასურსათო საქონლის წარმოება. 1960 წლისათვის რესპუბლიკაში კონსერვების გამოშვება გადიდდება თითქმის ერთიორად, ყურძნის ღვინისა—1,5-ჯერ, შამპანური ღვინოებისა—ათჯერ. ერევანში, მეღრში, აირუმსა და ნოემბერიანში ამენდება კონიაკისა და ღვინის ქარხნები, საექსპლოატაციოდ გადაეცემა საკონსერვო ქარხანა ირუმში. თითქმის ერთიორად გადადდება მინერალური წყლების „ჯერმუკის“, „არზნის“, „დილიჯანის“, „ანკავანის“ წარმოება. ჯერმუკში ამუშავდება შუშის ტარის და მინერალური წყლების ქარხნები.

საგრძნობლად ფართოვდება ნედლეული ბაზა ღვინის მრეწველობისათვის. თალინის სარწყავი არხისა და არზნი-შამირამის სარწყავი სისტემის პირველი რიგის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით ტრესტი „არარატი“ და შამპანური ღვინოების კომბინატი ახლად ათვისებულ მოწყებზე მოაწყობენ 8 ახალ მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობას — „არაგაცს“, „ართენს“ და სხვებს. ამ საბჭოთა მეურნეობებში გაშენდება 6.300 ჰექტარი ახალი ვენახი, 2.300 ჰექტარი ხეხილის ბაღები. საკონსერვო მრეწველობის საჭიროებისათვის ზანგეზასარის რაიონში ეწყობა მებოსტნეობის დიდი საბჭოთა მეურნეობა „რაზდანი“.

ველებისა და საძოვრების მორწყვისა და გაწყლოვანების დიდი პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფს მეცხოველეობის შემდგომ ზრდას. ამის საფუძველზე განვითარდება რესპუბლიკის ხორცისა და რძის წარმოება. 1960 წელს 1955 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდება ერმოკარაქის, ხორცის, ყველის, რძის პროდუქტების წარმოება. ამ მიზნით 1958 წელს დამთავრდება ერევნის დიდი ხორცკომბინატის მშენებლობა, 1957 წელს ამუშავდება ერევნის სარძიო კომბინატი და ფრინველის ფაბრიკა. რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ლაფანში, დილიჯანში, ალავერდში—აიგება რძისა და ყველ-კარაქის ქარხნები.

მეექვსე ხუთწლედში განვითარდება რესპუბლიკის სატყეო მრეწველობაც. იჯევანში მოეწყობა წიფლის ხის დეტალების დამზადება „სტალინეც-8“ კომბაინებისათვის, რომლებსაც როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა უშვებს. აქვე ამუშავდება დაწებებული ფანერის ქარხანა, რომელიც თავის პროდუქციას რესპუბლიკის ავეჯის მრეწველობას მიაწვდის.

ჩვენ აქ ჩამოთვალეთ მხოლოდ ნაწილი იმ ახალი მშენებლობებისა, რომლებიც სომხეთის რესპუბლიკის რუკაზე ახალ, მეექვსე ხუთწლედში გაჩნდება.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის თავდადებით იბრძვიან საბჭოთა სომხეთის მშრომელები. მათ კარგად აქვთ შეგნებული, რომ მათი შრომა, მილიონობით საბჭოთა ადამიანის შრომა საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას ემსახურება.

ქ. სეროგბიანი.
ა. შეკოიანი.

## რამდენიმე სტრიქონით

⊙ მეექვსე ხუთწლედის დამლევისათვის სომხეთის სსრ საშუალო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი 12 პროცენტით გაიზრდება.

⊙ 1960 წლისათვის რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გაიხსნება 260 ახალი ბიბლიოთეკა.

⊙ მომდინარე ხუთწლედის მანძილზე ამუშავდება 152 ახალი კლუბი.

⊙ მნიშვნელოვნად გაიზრდება კინოდანადგართა რაოდენობა. ახალი კინოთეატრები გაიხსნება ერევანში, ლენინაკანში, კიროვაკანში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

# ინგლისის საზოგადოებრიობა მიესალმება საბჭოთა ხელმძღვანელების ვიზიტს ინგლისში

ლონდონი, 17 აპრილი. (საკდესი). ინგლისის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოძალელ ჩამოსვლას ინგლისში. გაზეთებმა „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტმა“, „დეილი მეილმა“ და „თელმა რიგმა სხვა გაზეთებმა მოათავსეს ფოტოსურათები კრეისერ „ორჯონიკიძისა“, რომელიც ინგლისში ჩამოდის. ზოგიერთი გაზეთი სარედაქციო სტატიას ეძღვნის საბჭოთა ხელმძღვანელების ვიზიტს.

გაზეთი „დეილი უორკერი“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ „ინგლისელი ხალხი მიესალმება მშვიდობის წარმოგზავნილებს, რომლებიც ახლა მოდიან ჩვენი ნაპირებისაკენ. საბჭოთა კავშირის შემდგომი ფართო ეკონომიური და სოციალური განვითარების გეგმები მოწმობენ, რომ ეს ქვეყანა დადად. დაინტერესებულია მშვიდობის შენარჩუნებით. ყოველი მუშა იწონებს და შბარს უჭერს იმას, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის სულ უფრო მზარდი მასშტაბით ივაჭროს ინგლისთან, როგორც კი გაუქმდება ვაჭრობის აკრძალვები... ჩვენი ორი სახელმწიფო თანაბრად დაინტერესებულია ევროპის უშიშროებით, გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების აღკვეთით და განიარაღების შესახებ მტკიცე შეთანხმების მიღწევით“. „უახლოეს ათ დღეში, — წერს დასასრულ „დეილი უორკერი“, — შეიძლება შეტანილ იქნას უდადესი წვლილი საყოველთაო მშვიდობის საქმეში; მაშ მივეფალმოთ ჩვენს საბჭოთა სტუმრებს და ხელი შევუწყოთ ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას“.

„ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში წერს: „რუსი და ინგლისელი ხალხები მუდამ, ყველაზე ცუდ დროებშიც კი პატივს სცემდნენ ერთმანეთს. და როდესაც ინგლისელი ხალხი მიესალმება ბრუშჩოვსა და ბულგანინს, ეს იქნება გულწრფელი გამოხატულება მისწრაფებისა განვამტკიცოთ ორი ხალხის მეგობრობა“. „ტაიმსი“ იმედს გამოთქვამს, რომ მომავალი მოლაპარაკება სეროოზელი და გულახდილი იქნება.

გაზეთ „დეილი ექსპრესის“ მიმოხილველი დერეკ მაქსი წერს: „ლონდონში ძლიერდება იმედი, რომ ლონდონში ბულგანინისა და ხრუშჩოვის ვიზიტის უშუალო შედეგი იქნება ინგლის-რუსეთის ახალი ურთიერთგაგება. ასე აფასებენ ამ ბოლო დროს მდგომარეობას თვალსაჩინო ლონდონელი დიპლომატები“. მიმომხილველი აღნიშნავს, რომ მომავალ მოლაპარაკებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ როგორც ლონდონში, ისე ვაშინგტონში.

მთელი რიგი გაზეთები აღშფოთებას გამოთქვამენ ამ დღეებში მომხდარი ხულიგნური პროვოკაციების გამო, რომლებიც იმით გამოიხატა, რომ შუბილუეს კარლ მარქსის საფლავი, დაზიანეს მისი ბიუსტი და სკადეს ცეცხლი წაეკიდებინათ საკდესის შენობისათვის ლონდონში. გაზეთი „დეილი ჰერალდი“ აცხადებს, რომ „ველური გაბოროტების ასეთი გამოვლინება სავსებით ეწინააღმდეგება საზოგადოებრიობას გრძნობებს, რომელიც სიხარულით ხვდება შვიდობიან მოლაპარაკებას და იმედი აქვს, რომ იგი წარმატებით დამთავრდება“.

„ნიუს ქრონიკლი“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, რომ ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი არიან სტუმრები ინგლისელი ხალხისა, რომელმაც, როგორც კარგმა მასპინძელმა, არ უნდა შეიწყნაროს ხულიგნური გამოსვლები ცალკეული პირების მხრივ. გაზეთი შემდეგ წერს: „ნიუს ქრონიკლი“ მუდამ მიესალმებოდა ამ ვიზიტის იდეას. ბარიერს ბრავისთვის არ მოუტანია სარგებლობა, და მსოფლიოში, რომელიც გაყოფილია ისე, რომ სულ უფრო მეტად გვიხდება გავაკეთოთ არჩევანი საომარ მოქმედებასა და მოლაპარაკებას შორის, საჭიროა ხელი ჩავიდოთ მოლაპარაკების წარმოების შესაძლებლობას... ჩვენი სტუმრები იმ ფილოსოფიის მომხრენი არიან, რომელთანაც თანაარსებობა მოგვიხდება დიდი ხნის განმავლობაში.“.

პრესის ცნობებით, თემთა პალატის წევრმა ლეიბორისტმა ვიქტორ იეიტსმა, რომელიც „მშვიდობის დაცვის ლეიბორისტული ამხანაგობის“ თავმჯდომარეა, ამ ამხანაგობის ყოველწლიურ სხდომაზე ლონდონში მოუწოდა დასავლეთის საბელმწიფოებს ისარგებლონ საბჭოთა ხელმძღვანელების ვიზიტით ლონდონში და გადასინჯონ საერთაშორისო ურთიერთობის თავიანთი კონცეპციები.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალების განხილვა პოლონეთში

ვარშავა, 17 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს ღრმად სწავლობენ და განიხილავენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ორგანიზაციებში. მოეწყო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის სავოევოდო ორგანიზაციების აქტივების კრებები, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგებისადმი. ამჟამად მთელ პოლონეთში იმართება სამაზრო და საქალაქო ორგანიზაციების პარტიული აქტივების კრებები, აგრეთვე ღია პარტიული კრებები სამრეწველო საწარმოებში, დაწესებულებებსა და სოფლებში.

უდიდეს სამრეწველო საწარმოთა ღია პარტიული კრებების მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ცენტრალური პარტიული ორგანოების წარმომადგენლები. ვარშავის კასპშაკის სახელობის ქარხნის პარტიულ კრებას დაესწრო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ა. ბავადსკი, ვარშავის საავტომობილო ქარხნის პარტიულ კრებას — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ძატვინი. კრებებს ესწრებიან აგრეთვე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები.

კრებების მონაწილენი სავსებით იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, აკრიტიკებენ პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებებს, აგრეთვე საბავენ ღონისძიებებს სამრეწველო საწარმოებსა და სოფლებში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

# ფამ ვან დონგის ნერკილი ქენევის თათბირის თავმჯდომარეებისადმი

ხანოი, 17 აპრილი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო ეუწყება, 1956 წლის 9 აპრილს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფამ ვან დონგმა წერილი გაუგზავნა ეენევის თათბირის თავმჯდომარეებს ვ. მ. მოლოტოვსა და სელვინ ლოიდს. წერილში ლაპარაკია საფრანგეთის მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა პასუხისმგებლობაზე ეენევის შეთანხმებათა შემდგომი შესრულების საქმეში.

როგორც აღნიშნულია წერილში, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ჯარები გაეკვანძა ანიან სამხრეთ ვიეტნამიდან, საფრანგეთის მთავრობას, რომელიც ეენევის შეთანხმებათა ხელმომწერი მხარეა, კვლავ ეკისრება პასუხისმგებლობა ამ შეთანხმებათა შესრულებისათვის. სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლება იურიდიულად და ფაქტიურად მთლიანად და სავსებით დაკავშირებული არიან ეენევის შეთანხმებებთან. სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა მტკიცება, რომ მათ არ მოუწერიათ ხელი შეთანხმებებზე და ამიტომ არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათი შესრულებისათვის, აბსოლუტურად დაუსაბუთებელია.

ვიეტნამელი ხალხი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ნათქვამია წერილში, გადაჭრით მოითხოვენ სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთაგან ცნონ თავიანთი პასუხისმგებლობა ეენევის შეთანხმებათა დაცვისათვის და შემდგომი თანმიმდევრული შესრულებისათვის.

წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ვიეტნამის გაერთიანების საკითხი უმნიშვნელოვანესი საკითხია ეენევის შეთანხმებათა შემდგომი შესრულების საქმეში. ამიტომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იმ თვალსაზრისს იცავს, რომ ჩრდილოეთისა და სამხრეთის კომპეტენტურ ხელისუფალთა წარმომადგენლები უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, რათა განიხილონ და განაზრიცელონ ღონისძიებანი ვიეტნამის მშვიდობიანი გზით — ეენევის შეთანხმებათა საფუძველზე გასაერთიანებლად. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, აღნიშნულია წერილში, მიაჩნია, რომ ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის მუშაობას განგრძობა აუცილებელი პირობაა ეენევის შეთანხმებათა შესრულებისათვის. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ფიქრობს, რომ არსებული მდგომარეობის დროს ეენევის ახალი თათბირის მოწვევა მეტად საჭიროა. იგი სავსებით აწონებს და ჰზარს უჭერს საბჭოთა მთავრობას მომდინარე წლის 30 მარტის ნოტას და იმედი აქვს, რომ თათბირის ორი თავმჯდომარის მომავალ შეხვედრას კარგი შედეგები მოჰყვება და გამოიწვევს ეენევის ახალი თათბირის მოწვევას.

# ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ხელს ეშლის მეორე მსოფლიო ომის ამერიკელ და საბჭოთა ვეტერანებს შორის ურთიერთობის დამყარებას

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, „ელჩზე შეხვედრის ამერიკელ ვეტერანთა“ ორგანიზაციის ძალისხმევით ჯოზეფ პოლოსკის ელჩზე შეხვედრას მონაწილეთა საბჭოთა კომიტეტს გამოუგზავნა მიწვევა გაგზავნოს თავისი წარმომადგენელები ვაშინგტონში, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ კრებაში ელჩზე საბჭოთა და ამერიკელი ჯარების შეხვედრის მე-11 წლისთავის გამო. საბჭოთა კომიტეტმა მიიღო მიწვევა და გაუგზავნა ამერიკელ ვეტერანებს წერილი, რომელშიც გულითადი მადლობა გადაუხადა თავაზიანობისათვის და გამოთქვა იმედი, რომ მეორე მსოფლიო ომის საბჭოთა და ამერიკელი ვეტერანების შეხვედრა ხელს შეუწყობს მშვიდობისა და საბჭოთა კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა ურთიერთგაგების საქმეს. ამავე დროს ელჩზე შეხვედრის საბჭოთა მონაწილეებს ჯგუფმა დაიწყო მზადება მომავალი ვიზიტისათვის და გაპრიალული ჭკონდა ა. წ. 21 აპრილს გაფრენილიყო ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამ ჯგუფის გამგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში იქნებოდა მეორე მსოფლიო ომის საბჭოთა ვეტერანების საპასუხო ვიზიტი, რადგან 1955 წლის მაისში საბჭოთა კავშირში სტუმრად იყო ელჩზე შეხვედრის ამერიკელ ვეტერანთა ჯგუფი. მაშინ ამერიკელმა ვეტერანებმა რამდენიმე დღე დაჰყვეს მოსკოვში, შეხვდნენ ბევრ საბჭოთა ვეტერანს — მდინარე ელბზე 1945 წელს ორი მოკავშირე არმიის ოსტორიული შეხვედრის მონაწილეს, დაესწრნენ ამ ღონისძიებაშიც მოვლენის მე-10 წლისთავის.

# საბჭოთა კავშირის ელჩებისა და ინგლისელ ეინერგეტიკოსთა დელეგაციის ვიზიტი ინგლისში

ინგლისელ ენერგეტიკოსთა დელეგაციის 19 კაცის შემადგენლობით. დელეგაციას მეთაურობს ცენტრალური ენერგეტიკული სამმართველოს თავმჯდომარე ლორდი სიტრინი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ინგლისისა და შოტლანდიის რაიონული ენერგეტიკული სამმართველოების ხელმძღვანელები, ელექტროსადგურთა მშენებლობის, ელექტროენერგიის განაწილებისადმი კონტროლის სპეციალისტები და ატომის ელექტროსადგურთა სპეციალისტები.

ბრიტანეთიდან ჩამოსულ სტუმრებს ვნუკოვის აეროდრომზე შეხვდნენ: სსრ კავშირის ელექტროსადგურების მინისტრი გ. მ. მალენკოვი. სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს წარმომადგენლები და საბჭოთა ენერგეტიკოსების ამ დელეგაციის წევრები, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ იყო დიდ ბრიტანეთში.

შემხვედრთა შორის იყვნენ: დიდი ბრიტანეთის დროებითი საქმეთა რწმენებული სსრ კავშირში ბ-ნი ს. კ. პარტი, საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტები.

აეროდრომზე მიკროფონთან მოკლე სიტყვა წარმოთქვა ლორდმა სიტრინმა, რომელმაც თქვა:

— დიდი სიხარულით ჩამოვედით აქ, საბჭოთა კავშირში, ინგლისის ტექნიკური დელეგაციის შემადგენლობაში, რათა განვაგრძოთ მეგობრობა, რომელიც დაიწყო დიდ ბრიტანეთში საბჭოთა ენერგეტიკოსების დელეგაციის ყოფნის დროს. იმედი გვაქვს, რომ სსრ კავშირში ჩვენი ყოფნა განამტკიცებს ჩვენი ორივე ქვეყნის მეგობრობას.

# მოსკოვიდან საფრანგეთში გაემგზავრა საბჭოთა ჟურნალისტების ჯგუფი

17 აპრილს მოსკოვიდან პარიზში საფრანგეთის მთავრობის მიწვევით გაემგზავრა საბჭოთა ჟურნალისტების დელეგაცია. დელეგაციაში შედიან: ნ. გ. პალგუნოვი — საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ვ. ბ. ორდატოვსკი — რადიომაუწყებლობის მთავარი სამმართველოს მიმომხილველი, ბ. ჰ. ბურკოვი — გაზეთ „ტრუდის“ მთავარი რედაქტორი, ი. ვ. დავიდოვი — გაზეთ „სოვეტსკაია ბაშკირიის“ რედაქტორი, ბ. ვ. ეფიმოვი — გაზეთ „პრავდის“ რედაქტორის მოადგილე ევროპის ქვეყნების განყოფილების ხაზით, ბ. ლ. ლეონტიევი — „ლიტერატურნაია გაზეტას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ა. მ. მინკო — გაზეთ „სტალინგრადსკაია პრავდის“ რედაქტორი, ბ. გ. სტრელნიკოვი — გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, მ. ბ. ხრაპჩენკო — ჟურნალ „ოქტიაბრის“ მთავარი რედაქტორი, მ. ა. ცეიტლინ-მიხაილოვი — გაზეთ „იზვესტიის“ უცხოეთის განყოფილების რედაქტორის მოადგილე.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს ცენტრალური გაზეთების, საკდესის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების პასუხისმგებელმა მუშაკებმა, საბჭოთა ჟურნალისტების კავშირის საორგანიზაციო ბიუროს წევრებმა. (საკდესი).

# ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გუდმუნდსონის განცხადება

კოპენჰაგენი, 17 აპრილი. (საკდესი). გაზეთ „სოსიალ-დემოკრატენში“ გამოქვეყნდა საუბარი ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრ გუდმუნდსონთან, რომელიც ჩამოვიდა კოპენჰაგენში ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე. გუდმუნდსონმა განაცხადა, რომ ისლანდიის დამოკიდებულება ნატოსადმი ისეთივე დარჩა, როგორიც იყო წინათ, მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნა მან, ჩრდილოეთის ქვეყნისათვის სასიამოვნო არ არის, რომ ჰშვიდობიან დროს მის ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარები იდგნენ. 1951 წლის ტრაქტატის თანახმად, ისლანდიას უფლება აქვს ყოველ მომენტში მოითხოვოს მისი გადასინჯვა. ისლანდიაში, თქვა გუდმუნდსონმა, თავს იჩენს წინააღმდეგობა ამერიკის ჯარების იქ ყოფნისადმი, და ამ საკითხს აქტუალური მნიშვნელობა ექნება 24 ივნისისათვის დანიშნულ არჩევნებში.

# ინგლისელ ეინერგეტიკოსთა ინფორმაცია

ინგლისელ ენერგეტიკოსთა ინფორმაციის ფარგლებში ინგლისელ ენერგეტიკოსთა ერთ-ერთ ადგილზე ინფორმაციის ფარგლებში ინგლისელ ენერგეტიკოსთა